

რედაქცია

ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის და ახ. სტამბაში, ამატუნის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Вн Тифлисѣ. Въ контору редакціи газеты „Дროება“, при типографіи Меликова.

გაზეთის ღირებულება

წელიწადში — 8 მან., გაზეთი წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაურტი.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

განცხადების ღირებულება

დიდი ასრებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრებით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცერონი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

სუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

# დროება

გამოდის ყვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

## ხელის-მოწერა 1877 წლისა

მეთორმეტე წელიწადი გაზეთის არსებობისა

### მომავალ 1877 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა.

მომავალი წლიდან „დროების“ რედაქციის შრომაში უფრო დაახლოებული მონაწილეობასა და შრომას მიიღებს ორი ჩვენი ნიჭიერი მწერალი-პუბლიცისტი: აკაკი წერეთელი და ნიკ. ნიკოლაძე.

ამათი და აგრეთვე სხვა თანამშრომლების დახმარებით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, რამდენადაც რედაქციისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მოგვცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, სასარგებლო და საჭირო გაეხადოთ ჩვენი გაზეთი მკითხველი საზოგადოებისათვის.

### ხელის-მოწერა

მიიღება თ თ ი ლ ი ს შ ი — „დროების“ რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის და ახ. სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთათვის თანხები მოთხოვნილება ამ აღრესით უნდა გამოგზავნონ: Вн Тифлисѣ, въ Типографіи Меликова.

სხვა ქალაქებში „დროებაზე“ ხელის-მოწერა შემდეგ პირობებში შეიძლება:

მუთაისში — სვ. მესხთან (სილაზე), შოთში — თ. ანტ. ლ. ზ. ნაკაშიძესთან და შო. ბაბალოვთან, ახალ სენაპს — ნიკ. დგებუაძესთან, ზუზუძის — თ. ტარ. ალექ. ლადიანთან, ოზურგეთს — ანტ. ჯაყელთან, შირში — ლ. ა. ლ. მამაშიძესთან, გორს — ალალა მუთავეთან, ახალსიხის მოსვბ სულხანოვთან და თელავს — თ. ლევან ჯანდიერთან.

გაზეთის ღირებულება	მან. კაპ.
წელიწადში	8
ნახევარ წელიწადში	4 და 50
სამის თვისა	2 და 50
ერთი თვისა	1 —

ამვე საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი ნისი-ათ არავის არ გამოგზავნება გარდა იმ პირობისა, რომელთათვის პასუხის-მგაბას თვითონ „დროების“ აგენტები იპისრებენ.

მთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მოწერალებს, რომ თანხები მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ეითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მოწერა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი და ყოველთვის, როცა ადრესს გამოიცვლიან, დროზე შეატყობინონ ეს რედაქციას. გამოცემული სტ. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.

## სამართლებლო

### ქალაქის სახელმწიფო შოლა

მა მესამე წელიწადია, რაც ჩვენმა ქალაქის რჩევამ პირველად გადაწყვიტა „თფილისის მიხაილოვის სახელმწიფო სასწავლებლის“ გახსნა თვის ხარჯითა. მას აქეთ რჩევაში რამდენჯერმე იყო ამ საგანზე მოლაპარაკება, რამდენიმე კამისია შეადგინეს; მაგრამ საქმე ჯერაც ვერ მოიყვანეს სისრულეში; სასწავლებლის სახლი ჯერაც არ არის გათავებული და თვით „შკოლის“ წესდება და პროგრამაც არ დამტკიცებულა.

მაგრამ ეს გარემოება მაგდენათ არ უნდა გვაკვირებდეს: ჩვენმა ქალაქის გამგეობამ ყოველ საზოგადო, სახქარო და აუცილებელ საქმეში აუჩქარებლობას, დაუღევრობასა და რკუს ნაბეჯით მსვლელობას ისეთ-

ნაირად მიგვაჩეია, რომ უფრო მალე რო გაეთავებინათ ეს საქმე, გასაკვირველი მაშინ იქნებოდა...

ამ ქალაქის რჩევაში ცალკე კამისიისაგან წარდგენილს სასწავლებლის წესდების პროექტზედაა მოლაპარაკება და, როგორც წარსულ ნომერში გაცნობეთ, ქალაქის რჩევამ წესდების თითქმის ნახევარი მუხლები განიხილა და, ზოგიერთა ცვლილებების მოხდენის შემდეგ, მიიღო; მეორე ნახევარს, მაშ მთელ წესდებასაც, ამ ერთ ორ კვირაში განიხილვენ; მერე წესდება აქაურმა უმაღლეს სამსწავლებლო მთავრობამ უნდა დაამტკიცოს; ასე რომ ორი-სამი თვის განმავლობაში ამ სახელმწიფო სასწავლებლის გაჭიანურებული საქმე სრულებით გათავებული იქნება.

ჩვენის ჰაზრით, ამ სახელმწიფო შკოლის დაარსება უფრო შესანიშნავი და სასარგებლო საქმეა, ვიდრე სხვა საქმეები, რომელიც კი აქამდინ ჩვენ ქალაქის გამგეობას თვის-თავად გაუკეთებია.

მართლაც, იმისთანა ქალაქისათვის, როგორც ჩვენი ქალაქია, ცოტაც არის ნასწავლი და დახელოვნებული ხელოსნების აღზრდა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. შოველგვარი მასალები გვაქვს ჩვენს ქვეყანაში სხვა და სხვა ხელობისათვის, ჩვენი ხალხი, ღეთის მადლით, იმდენად ნიჭიერია და მოხერხებულია, რომ ყველაფრის შესწავლა ადვილად და შედმიწვევით შეუძლიან.

მაგრამ დახეთ ჩვენი წარმოების მდგომარეობას: არცერთი ხეირიანი მჭედელი, არც დურგალი, არც მერყნიკოი და არც სხვა რომლისამე ხელოსნობის რიგინათ მცოდნე თითქმის სულაობით არ მოიპოვება ჩვენში.

რისგან არის ეს? ანუ რატომ იპისაგან რომ ძველად, რაც არ ვიცოდით, მის მეტს საჭიროებას არცკი ვგრძნობდით; ხალხი თიცხელი შენობით, უბრალო შალის ტანისამოსით, უბრალო ჩექმებითა და ნაბდითაც იოლად გამოდიოდა. ახლა ათასი სხვა ახალი საჭიროება მოგვემატა და რადგან ამას ჩვენი ძველი ხელოსნები ვერ აკმაყოფილებენ, უცხო ქვეყნებიდან მოგვაქვს ყველაფერი და ერთი-ორად ძვირად ეყიდულობთ.

რამდენი ღატაკი და უფრო შო ნემცი ან ფრანკუზი ჩამოსულა ჩვენში, რომელნიც თვის უბრალო რომლისამე ხელობის ცოდნით გაკეთებულა! აიღეთ თუნდა ჩვენს ქალაქში ეს ზომიერები, რუქები, ტოლ-

ლები, მადერები და სხვანი, რომელნიც უფრო შოთ ჩამოსულან და ახლც, ათი-ხუთმეტი წლის შემდეგ, თითქმის მილიონერები გამხდარან. რატომ? იმიტომ რომ, რაიმე ხელობა სკოდნით, და ეს ხელობა და მოხერხება ჩვენს ბუნებით მდიდარს, მაგრამ ხალხით უმეცარს ქვეყანაში თვის სასარგებლოთ გამოუყენებიათ.

ქალაქის სახელმწიფო სასწავლებლმა უნდა მიგვეცეს, უნდა გაგვზარდოს ჩვენ ისეთი ხელოსნები, რომელთაც შეეძლოს, ყველა თუ არა, მომეტებული ნაწილი ჩვენი აუცილებელ საჭიროების დაკმაყოფილება, რომელთაც დაიჭირონ ის ადგილი, რომელიც ამ ქალაქს ქვეყნებში ჩამოსულ ხელოსნებს უჭირავთ ჩვენში.

ამ მიმე საქმის შესრულება ქალაქის გამგეობას მხოლოდ მაშინ შეუძლიან, თუ მარჯვედ, ვერგიულად და საქმის ცოდნით მოკიდებენ ამ შკოლას ხელსა და არა ისე გულ-აეარდნით და დაუღვევარად, როგორც ღღემდინ ჰკიდებდა ხოლმე საზოგადო, საქალაქო საქმეებსა.

### ს. მ.


### ღლიური

ჩვენ დაგვაიწყუა წარსულ ნომერში მოგვეხსენებინა ერთი ჩინებული გადაწყვეტილება, რომელიც ორშაბათის სხდომაში მიიღო ქალაქის რჩევამ სახელმწიფო შკოლის შესახებ; ეს გადაწყვეტილება მდგომარეობს იმაში, რომ შკოლის პირველ-დაწყებით კლასში სწავლა სამსენაზედ უნდა იქნესო: რუსის ყმაწვილებისათვის რუსულს ენაზედ, ქართველებისათვის — ქართულზედ და სომხებისათვის — სომხურზედ.

ჩვენ შევეტყეთ, რომ აქაური ქართული სცენის მოყვარენი ამ თვის 28-სათვის წარმოდგენის გამართვას აპირებენ; უნდათ, როგორც გვითხრეს, ზ. ანტონოვის ოთხ-მოქმედებიანი დრამა „მორალლი“ და ერთი რომელიმე ვოდევილიც წარმოადგინონ.

წარმოდგენა ღარიბი მოსწავლე ქალების სასარგებლოდ იქნება.

ამ კვირაში ორ შენობას გაუჩნდა ჩვენს ქალაქში ცეცხლი; გასულ ორშაბათს, შუალამეზე, ჩითახოვის სახლის ბუნარში გაჩნდა (სოლოლაქზე) და გუშინწინ თამამშეის ქარვასლაში; მაგრამ ორივე მალე შეიტყუეს და სანამ ცეცხლი გაძლიერდებოდა, მოაქრეს.



შუთისის საადგილ მამულს ბანკის დღეგრძელობის სურვილი გვაძულებს ჩვენ გამოვაცხადოთ შემდეგი ახირებული და არ-დასაჯრებელი ხმა, რომელიც ამ ქაშად შუთისში არის გაერცვლებული:

აპობენო, გეწერს ჩვენ ერთი იქაური კარგესპანდენტი, რომ ახლანდელი ბანკის გამგეობა ყველასთვის ერთ ნაირის სისასტიკით არ ასრულებს წესდების ყველა მოთხოვნილებასაო; მამულის დაგირაფების დროს ზოგს უფრო ლმობიერად ეპყრობა და ზოგს სრულის სისასტიკითაო. სხვათა შორის, აქ დამტკიცებით ამბობენო, რომ ვითომც ერთს პირს სრულებით უფროათაც გამოეტანოს ბანკადამ ფულები; მხოლოდ უბრალო ვექსილი წარედგინოს. ამას გარდა აქ გაკვირვებით ჰკითხულობენ: საიღამ, რომელი ფულებით ამყენებს უფ. N სახლს და მალაზიებს, როდესაც მთელმა ქვეყანამ იცისო, რომ ეს კაცი ყელთაღინ ვალებით არის საესეო? ბაროტი ენები ამბობენო, რომ ამ საქმეშიაც ბანკი ურევიოა, რადგან ამ N-ს დახლოებული კავშირი და მეგობრობა აქვს ახლანდელ ბანკის გამგეობასთანო...

რალა თქმა უნდა, რომ ეს ხმები ჩვენ არ გეჯერა და თუ ვაცხადებთ საქეყნოთ, მხოლოდ იმისთვის, რომ ვისაც როგია, იმათ მიუცეთ შემთხვევა ჰქმარიტების აღდგინებისათვის...

სახეთილად სოფ. შილდის მამასახლისის ქებას გეწერენ. მამოიჩიეს თუ არა ეს კაცი მამასახლისად, იწმისე სოფლის გზებს კეთება დაწყოვო, აგრეთვე ცდილობსო, რომ ხალხი პურის მალაზიის გახსნისათვის დაითანხმოსო. ამავე მამასახლისის მიტალინობით სოფ. შილდაში გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის გახსნას ახირებენო, სია შეუდგენიათ და მცხერებლები ხელს აწერენ და ამ ბანკისათვის ფულებს აგროვებენო.

მურილამ გეწერენ, რომ ერთმა ლიხაურის მემამულემ უფ. N მამამ სოფლის შკოლას საბალო აღგოლი აჩუქო; ხალხი ძლიან მადლიერი და კმაყოფილი იყო ამ შემინებისათვის; სოფელმა და ბაუნებმა შემამუშავეს ეს აღგილი და ამნაირის საზოგადო მეცადინეობით ჩინებულ ბალი გაუკეთდა შკოლასაო; მაგრამ წელს ამ მემამულემ ისევ უკან წაართვა სოფელს და შკოლას ეს აღგილიო...

**„დროების“ კორექსიონდენსია**

**მორი, 11** დეკემბერს. მართალია, ბატონკობა კარგა ხანია გადაეარდა და გლეხები იმ შკირეებისაგან განთავისუფლდნენ, მაგრამ...

შველა გლეხკაცის ბატონია, მაგრამ ღმერთმა თქვენ მტერს მისცეს, როგორც უეზდის უბრაველენის სხვილმან — წერილმან ჩინოენიკები და

იასაულები საწყალ ურმისოთაც დატყვებულ და დღარბებულ გლეხებს დღეს აყენებენ!

შველაზედ უარესი დრო შამოდგომობით ხდებათ, ესე იგი სახელმწიფო ფულის გაწერის დროს. რასაკვირველია, ყველა გლეხ-კაცი ამ დროს აუცილებლათ მოელის და რაცკი ღონის ძეგბაც აქვს: ან ჰყიდის რასმე, ან საღმე ერთი-ორათ ივალებს მხვედრს ფულს და აბარებს მამასახლისს, ყველა სოფლის მოხელები გაცხარებით სტილობენ, რაც შეძლება დროით ჩაბარონ თავიანთ სოფლის მხვედრი ფული, სადაც ჯერ არს. მაგრამ ნათქვანი: „ერთი ალილუია მღვდელსაც შეიცდებოა.“ სიღარიბის გამო, ყველა ვერ აწერებს ვადაზედ მიუტანონ მამასახლისებს ფული და ამის მზხით ეს უკანასკნელნიც ბრკოლდებიან.

აი მაშინ უთენდებათ აღდგომა ზოგიერთა ჩინოენიკებს და მეტადრე იასაულებს; დაგროვდებიან ჩამდენიმე ცხენოსანი, მშვირი ოსები და შევარდებიან სოფელში. ამ გროვას საზოგადოთ „ზეკუკიათ“ უწოდებენ. და ვაი იმ სოფელს, სადაც ესენი ფრეს შესდგენ, მისცივიან მოხელეებს, ხალხს დაუწყებენ უშვიერის პირით გინებას და ცემა-ტყუას. ცემას ჯანი გაეარდეს, მაგრამ სამწუხარო უფრო ის არის, რომ ხსენებულ მოხელეებს გაუკრამენ ხოლომე ხელებს და ცხარეებით მიერეკებიან ბორისკენ.

სხვათა შორის, ამ ზემო-მოყვანილ სიტყვების დასამტკიცებლად მომყავს ერთი მაგალითი:

წელს სოფელ მურეთში ცოტა არ იყო, სხვა დამსხვამიზნებინს გამო, მოუგვიანდა მამასახლისის ფულების შეკრეფა; ამაზედ შემოცვიდნენ, ბატონო, ხუთი დაცოფებული იასაულები და ისე დაერივნენ სოფელს, როგორც მამალას ბაშიუზუტეობა და ბრალიანი და უბრალო ცემა-ტყუბ თამოწყვიტეს, სოფლის აღმინის-ტრაციას ხო, თქვენ მტერი, გვერდებიანლარ შეარჩინეს; რომოჯგოდნენ ცემა-ტყუასა და აბა ქათმები და ღვინოო, თორე სულ დედა-ბუღინათ ამოგყოფტამთო! მეტი რა ილაჯი იყო? მაუძღვა სოფლის გზირი და დაერივნენ ახლა ოჯახებში და შეიქნა დედა-კაცების წივილ-კივილი და წყევლა-ქოლვა; და ვაი იმ ოჯახის ბრალი, ვინც იმ წამსვე ჩამდენსამე ქათამს არ გააგარებდა და ანუ გამხდარი გამოდგებოდა! ასე და ამ გვართ ამ ბაშიუზუტეობა ოცხე მეტი დედლები დააკლვიენეს, და რასაცაჭმით მოერივნენ, რასაც არა და ხურჯინებში უკრეს თავი.

ამ დღემ, როგორც იყო გაიარა; მეორე დღეს შეეხედეთ და შემოვარდა კიდევ ერთი იმ იასაულთაგანი; მამასახლისი შინ არ დაუხვდა, რადგანაც ლამიანათ გამგზავრა ბორისკენ ფრჩხის ფულის ჩასაბარებლათ; შეიტყო თუ არა, გაირეკა სულიებიც და თან თოკი წააღებინა; ეს სამნი, მამასახლისის დაეწივნენ თუ არა, იასაული მაშინათვე მივარდა, ჯერ კარგა მძეჟა, შემდგომ სულიებს უბძანა:

ხელები გაუკრეს და ამგვართ შებყრობილი გამოიგდო ბორისკენ და ახლა წარმოიდგინეთ, გზაზედ რამდენ სოფელსედაც ჩაივლოდნენ, ყველგან სირცხვილს აქმევენენ. ამ გარემოების გამო მამასახლისი გახდა ჯაერით ავით და კინალამ ამდენ ჯაერს თან გადჰყეა, რადგანაც თავმოყვარეობა და თაკილი ყველა სულდგულში იპოვება; ვნლაც კი ეს მამასახლისი არის ღოგინათ ჩაეარდნილი.

ახლა, ნუ თუ ეს ამდენათ განუსამზღერელი უფლება მინიჭებული ჰქონდეთ ამ იასაულებს მთავრობილამ, რომ ამ გვართ თეფ მოსტრეს პატროსან ოჯახის შეილს და დარბისელ მამასახლისს!

არამ თუ იასაულებს, ჩამდენათაც ვიცი, არც არაეის ჩინოენისკანონით ნება არა აქვს ძალით სოფლიდამ მოითხოვოს თავისთვის საფილი, ანუ სხვა რამ ხარჯი; მაგრამ სულ წინამდგეს ხდებიან. შველა კომლეთრს წელიწადში ჩამდენჯერმე ხვდება ამ ბატონების დახვედრა: პურით, ღვინით, ხორაგით, ქერთა და ბზით და მეტადრე ეს იასაულები არამ თუ თავიანთ სამყოზს სჯერდებიან, არამედ თანაც მიაქეთ დაქედილი ხურჯინები. ბეერჯერ, სოფლის ხარჯით ყდულობენ.

მაგრამ რა გაემატუენო ხსენებული იასაულები, ანუ წერილმანი ჩინოენიკები, მაშინ როდესაც თვითონ ჩენი უეზდის უფროსის თანაშემწე უფ. ბ. ამათ ბეერთ აჭარბებს: სად მამასახლისებს ყოვლის უსაფუძელოთ მართახათ ლახეს, ვის სოლას სტკაცამს, ვის ულუაშებს აგლეჯს, და სხვა ამ გვარ უწესოებას ახდენს.

თუც მე შემეძლო, როგორათაც ამ პარზედ, აგრეთვე ზემოხანებულეებზედაც, უფრო დაწერილებითი მაგალითების მოყვანა, მაგრამ მე სრული იმის მოიმედევარ, რომ უფ ჩენი უეზდ-ს უფრო იამ უწესოებებს ჯეროვან ყურადღებას მიაქციეს, და ამის გამო ჯერ-ჯერობით საკმაოთ ვრაცხ ამ ზემო-მოყვანილებსაც.

მერუფლი

**ხიფისთაში, 7** დეკემბერს. (დასაწყისი და დასასრული სოფლის ხიდისთაეის შკოლისა). როდესაც ახლის წისდებულების ძალით აღმორჩიეს ჩვენ სოფელში მოსამართლენი და მამასახლისი, ამ დროს აქ იმყოფებოდა განსვენებული იოსებ მამაცოვე, რომელმანც სხვათა დარიგებათა შორის ცხადათ აუხსნა გლეხებსა, თუ შკოლის გახსნით როგორც სარგებლობა ექნებოდათ იმათა. მართლაც, ისეთის ტუბილის ენით და მამობრიულის დარიგებით აუხსნა შკოლის გახსნა და მისი ნაყოფი, რომ გლეხებმა მაშინათვე გამოცხადეს სურვილი შკოლის გახსნისა.

ამისათვის განსვენებულმა იოსებ მამაცოვემ დაიბარა აქაური დედენი და სთხოვა მათ, რომ იმათ ესწავლებინათ ყმაწვილებისთვის რიგით; მისცა მათ საჭირო დარიგებანი და აგრეთვე სხვათა შორის უთხრა, რომ თქვენი ხაყოფი მუქათათ არ ჩაივლისო და თავის დროზედ, ჯამაგირიც დაგენიშებათო.

დანიშნეს რიცხვი მისწავლენად გახსნეს შკოლა. ამ დროს აქვე იმყოფებოდა აქაური მებატონე დ. მდღენიფთხუცესოვი, რომელმაც რა დაინახა გლეხები ფრიად მოსურნეთ შკოლის გახსნისა, დუთომო სოფელს უფასოთ თავისი საკუთარი სახლი შკოლათა და სოფლის კანცელარიათ იმ დრომდინ, ვიდრე სოფელი იყიდლა შკოლისათვის და სოფლის კანცელარიათის სახლსა.

ამ სახით გაიხსნა ჩენი სოფლის შკოლა იმ დროს, როდესაც თითქმის მოგონილი არცკი ჰქონდათ სხვა სოფლებში სოფლის შკოლის გახსნა. პირველი შეგირდების მაწავლებელნი, როგორც დ. ჰირდენ ამ განსვენებულ იოსებ მამაცოვეს, იყენენ მღვდელნი — მცირედ ხანს.

შემდეგ ერთმა აქაურმა გლეხკაცმა შ. ბატონაშვილმა, რომელიც იყო ქართულათ განსწავლილი, იკისრა შეგირდები სასწავლებლათ და კარგათაც წაიყვანა შკოლი საქვე, რაც კი შეეფერებოდა.

დასამტკიცებლათ იმისა, რომ ამ მასწავლებლის დროს კარგა მიიღოდა ჩენი შკოლის საქვე შესახებ სწავლისა, უნდა ვსთქვა, რომ, როდესაც მოვიდა ჩენში რევიზიაზე უ. აქიმოვი, წვერი ღუბერჩიის საგლეხო პრისუტ ტევისა, მასწავლებელმა მიიღო მადლობა იმისაგან.

მაგრამ, სამწუხაროთ, დიდხანს არა ყოფილა ჩენში შკოლა ამ მდგომარეობაში! შემდეგ ორის წლის სწავლებისა, მასწავლებელი გოდარცვალა და ამ დროდგან დაბრუნდა უკუღმა ჩენი შკოლის ბედ!

შემდეგ შკოლა დაიკტა იმ დრომდინ, ვიდრე არ მოვიდა ჩენში რევიზიაზე ბორის უზდის უფროსის თანაშემწე, შესახებ სოფლის პურის მალაზიისა და სხვა სასოფლო საქმეებისათვის. ბორის უეზდის უფროსის თანაშემწემ უბრძანა მღვდლებსა, რომ შეკრიბათ შეგირდები ახლად ნასყიდ სასოფლო შკოლაში და ესწავლებინათ მათთვის. ჩამდენსამე ხანს ასწავლეს დედლებმა, რადგანაც იმედი ჰქონდათ ჯამაგირის მიღებისა და რა ვერ მიიღეს ჯამაგირი, როგორც სულ სწრაფებმა, მალე დაანებეს შკოლას ხელახლათ თავ. ამ დროდგან ჩამდენსამე ხანს კარგე დაიკტა სასწავლებელი; მაგრამ შემდეგ შეგირდების დედ-მამათ დანახეს, რომ იმათ შეილებს ავიწყდებოდათ წერა-კთხვა და ამისათვის დაიჭრეს ჯამაგირით მასწავლებელი უ. დ. მამარდიძე, რომელიც უნდა ყოფილიყო სოფლის მწერლათაც.

ამ პირველ ერთ თვის როგორც იყო კარგა ასწავლიდა შეგირდებსა, მაგრამ რა ფეხი მოიმავრა, შეგირდებს ყურსაც აღარ ათხოვებდა; მხოლოდ კვირაში ერთხელ ან ორჯელ თუ შევიდოდა სასწავლებელში, ისიც მაშინ, როცა თავის საკუთარი საქმე არ ექნებოდა.

ამ სახით მოახწია ჩენმა სოფლის შკოლამ კოჭლობით 1873 წლამდე. ამ დროს მოვიდა აქ მ. წის-მზომელი უ. ა. სემიგლოვი. მასწავლებელმა უფ. დ. ჯამარდიძემ, როგორც შორს-გამტკიცებულმა მასწავლებელმა, დაინახა, რომ სემიგლოვთან უფრო სარგებლობა ექნებოდა, ვიდრე სოფლის შკოლის მაწავლებლობითა, და დაინება თავი შკოლასა და გაიკეთა ამ დროდგან ბუფე ს მგალოვთან, ვიდრე უფ. სემიგლოვი მოჩინებოდა თავის საქმეებს სოფ. ხალხთაგანში და სასწავლისში, სადაც თითო კვაპიოს დასაწერის იღებდა სამ აბაზსა, ქალაქის



გარდა, და სოფლიდგან დანიშნულ  
ჯამაგირსაც. ამ საში აბაზიდგან, როგორც თი-  
თონ უფ. სემიგალოვი გვიუბნობდა,  
რომ შაჰი უნდა ყოფილყო შკო-  
ლის სასარგებლოდ და დანარჩენი  
ღკრთმა უწყის. საშუალო რიცხვი  
რომ ავიღოთ ხ. ხრდისთავის და ს.  
წილისის მამულების კოპოლებისა, ჩი-  
ვის აზრით, უნდა იყოს რეაქსამდე  
დ წიროლი უფ. დ. ჯომარდ: ძისა-  
გან, ორ-ოლი შაჰი რომ ვიანგა-  
რიშოთ, თითო კოპოსი, რეაქსისა  
შეადგენს რეა თუმნა; ც ლკე ხე-  
ლას-ოწვრით, როგორც თითონ უ-  
სემიგალოვი ამბობს გავით. „მფი-  
ლისის მოამბეში“, შ გროვილა ს.  
ხრდისთავის შკოლის სასარგებლოთ  
ოთხმოც დახუთი მანეთი. მ. რი-  
ფე ირთათ რომ ვიანგარიშოთ, შე-  
ადგენს ას-სამოც და ხუთ მანეთსა  
აქედგან, უფალი სემიგალოვისავე  
სიტყვით, შკოლისთვის მოსმარებო-  
და ოთხმოც დახუთი მანეთი და  
დანარჩენ რეა თუმნის, ორი შ. უფ-  
იდგან შემდგარს კოპოების მიცემის  
დროს, კი იფიწყებს და ამბობს არ  
ამიღიარ.

ხრდისთავში მყოფობის დროს გა-  
იგო უფ. სემიგალოვი, რომ შკოლა  
ყოფილა, მო წავლენიც არიან, მაგ-  
რამ მასწავლებელი კი აღარა ჰყავთ.  
ა ისათვის იმან ისურვა მხურვალეს  
გულთ უფრო რეგანი და საფუძ-  
ვლიანი შკოლის გა ხნა; რამდენჯერ-  
მე აღტაცებულის გ მნობით უქადა-  
გა ხალხსა, რომ დახმარებოდნენ  
აბისთანა კითხლ საქმეში და შეეწი-  
რათ შკოლის გასახარებათ ფულე  
ბი.—ბერძნულ მესჭირეს, ვ საც რა  
სურდათ, ხელი-მიწვრით. ამ სახით  
უფ. სემიგალოვი მოგროვილის ფუ-  
ლებით გააკეთებინა შკოლის საქ რო-  
ნიტები, როგორც „დროების“ №  
118 არის ნ ჩვენები, დაიქრა ჯ. მა-  
გრიტ მასწავლებელი უფ. ა. პარი-  
ჭოვი და წავიდა თითონ ძალია.

ამ ნაირათ ჩვენ სოფელში უფ.  
სემიგალოვისგან დაარსებულმა შკო-  
ლამ იტოცხლა მხოლოდ ოთხ თვე  
და მერე გარდაცვალა თითქ ის სა-  
უკუნოთ. მიზეზი ამ ჩენი შკოლის  
გარდაცვლია ის იყო, რომ მასწავ-  
ლებელმა უფ. პარიჭოვიმ ვერ მიიღო  
ჯამაგირი ვერც უფ. სემიგალოვი გან-  
და ვეც სოფლიდგან. უფ. სემიგა-  
ლოვი სოფელზე უჩვენებდა: „მ-გათ  
უნდა მოგცინო.“ სოფლი ეუბნე-  
ბოდა: „შოთი წლის ჯამაგირი, რო-  
გორც დაგპირდა, იმან უნდა მოგ-  
ცესო და შემდეგ ჩვენაო.“ მასწავ-  
ლებელმა ვერცერთი გან ვერა მიი-  
ღო-რა და დაანება სასწ. ეოებელსა.  
მას შემდეგ აქამდისი შკოლის  
გახსნა ფიქრათა აღარაფის მუსელოა  
თავში. პარგი იქნებოდა, რომ ვინმე  
პატრონი გამოგვიჩვენოდა და ხელ-  
ახლათ გავხსნათ ჩვენ სოფელში  
უფრო საფუძვლიანი სასოფლო სა-  
მეურნო შკოლა, როგორც მაგ. სოფ.  
მეჯურისხევში, სადაც, შორის უფ-  
ლის უფროსის მეცადინეობით, გაიხ-  
სნა აქ პირველი და რეგანი სასოფ-  
ლო შკოლა მთელს მართლში.

ხრდისთაველი

არც ერთს რუსეთის მოსამზღვრე აღ-  
გილებს არ მიაწევბოა. ამის თაო-  
ბაზედ სულ სხვა ამბებს ეკითხულობთ  
სამზღვარ გარეთის გაზ. თებში. აი  
რას ამბობს სხვათა შორის, ნემეცუ-  
რი გაზეთი „პოლიტიკური კორრეს-  
პოდენცია“ ამ საგანზე: „მიუხედავთ  
იმისა, რომ ამ უკანასკნელ დროს  
მსმალთ ძირეფ აჩქარებულა და გაც-  
ხარებით ემზადება ომისთვის, დღეს  
ეს მზადება აღარ იქცევს ისე, რო-  
გორც წინეთ, მისი ქვემეგრდომების  
ყურადღებამ. ამ ცოტა ხნში ომის  
ემზადებაათვის განკარგულბებში  
მხოლოდ ერთმა იმათგანმა მიაქცია  
ყურადღება;—ეს ის იყო, რომ დაემ-  
ზადებინათ 10,000 კაცი ორგეგულია-  
რულ კავალერიისა, რომელნიც ეი-  
თამც მსმალთს მმართველობას მო-  
სამზღვრე უცხო ქვეყნის ადგი-  
ლებზე უნდა დაბანაკოს, რომლის  
მოკავებაც მას ამ ომის დროს უნდა.  
რომ მსმალთს მართველობას მო-  
საგერებელი ომის განზრახვა სრუ-  
ლებით არა აქვს, ამას ისეც უნდა  
გეოტკიცებდეს, რომ ამ დღებში მარ-  
ნაში და შუშლაში დაბანაკებულ ჯარს  
ბრძანება მოსვლიათ, რომ 13 (25)  
დეკემბერს გაგზავრკბულიყვნენ მდ.  
დუნაისაკენ.“

— იმავე გაზეთში შემდეგ ეკით-  
ხულობთ: „პ რველი დაბრკოლება,  
რომელსაც რუეთის ჯარ, ბოლო-  
გარისაკენ მიმავალი, შეხედება, იქ-  
ნება მდ. დუნაა, რომელიც—მაგი-  
ერათ, მ. მალეთისათვის საუკეთესო  
მოსაგერებელ ადგილათ ირიცხება.—  
აქედამ სჩანს, რომ მსმალეთისათვის  
სრულბებით არაფერს ანგარიშს არ  
შეადგენს დუნაზე გადასვლა და მა-  
ლხის ერთი ნაწილის მოკავება. ამ  
შემთხვევაში დუნაია იმათ უკან დარ-  
ჩებოდათ და ამ მხრით მოწოლილი  
რუეთის ჯარი ძირეფ ანებდა მათ.  
მა გარემოება მაინც იმდენ თ არ  
აბოკოლებს მ. მალთს და თან და-  
თან გზების პატარა ოტრიადებოთ მ-  
ლახიაშ-ჯარებს იმ განზრახვით, რომ  
რუსეთისა და რუმინის ჯარებრც ასე  
წვირილ-წვირილათ დაიყონ შორი-შორ  
მდებარე ადგილების დასაცველათ.

— შოთი ი-გლისური გაზეთის სიტ-  
ყვით მ ლდიანაში, აქჟამთ გაცხარე-  
ბული მუშაობა არისო. 40 გემი მარ-  
ტოკა ხიდის გასაყენათ არის დამ-  
ზადებულიო.  
— ნემეცურ გაზეთში ეკითხულობთ  
ბალაციი დამ მოსულ ტელეგრაფმას,  
რომელშიაც სწერია, რომ მსმალთს  
მმართველობას რუმინის მართვე-  
ლობისათვის შეუტყობინებია, რომ  
თუ საჭიროება მოითხოვს, ის თავის  
ჯარებს ბუზარესტაში ჩაყენებს. ბუ-  
ზარესტაში რამდენიმე ოსმალელი  
შპიონი დაუჭირავთ. შაენი ჯარების  
ბანაკებში შეპარულან. ბახეთებისა  
და სხვა და სხვა წერილი ნიეთების  
დამტარებლების ს.ხ თ.

— მსმალეთი. „ნემეცური გ-  
ზეთის“ სტამბოლელი კორრესპონ-  
დენტი შემდეგს ამბებს იქერება იმ  
შეთქმულობის თაობაზე, რომელიც  
ამას წინეთ იქ აღმოუჩინათ:

„ამ რამდენიმე დღის წინეთ ძონ-  
სტანტინოპოლში გავარდა ხმა, რომ  
გარდაყენებული სულთანი შურად  
მე-V სრულბებით შორჩაო, მაგრამ  
იმას ძალათ იქერენ ჩერგანის სასა-  
ხლეში, სადაც ის ჩაუსვამთ, რომ  
ამ რიგათ არ დაანებონ იმას მსმა-  
ლოს ტახტი, რომელიც მას ეკუთვ-  
ნის და არა სულთანს აბდულ ჰა-  
მედს. პორრესპონდენტი გვარწუ-  
ნებს, რომ მას ნამდელი ცნობები  
აქვს შეტყობილი, რომ შურადი ჯერ  
კიდევძირეფ ავით არის, თითქის სრუ-  
ლებით შეშლილია ჭკუზე და იმედი  
არაფის აქვს, რომ ის გადაჩრება, მა-  
გრამ ამ ხმას შაინც ერთობ შეუ-  
შინებია სულთანი ჰამიდი და მისი  
მინისტრები.—შოთ დღეს, ორს მს-  
მალელს მეჭებედ-მჭენდის და ბუ-  
სნი-ბეის და ორს ქრისტიანს—სთა-  
ვირილეს, ადრე ი-გლისის კონსულის  
თარჯიმანს და ერთ პოლმელს მო-  
უნდომებიათ შურადის მოტაცება.  
როგორც ეტყობა, ამ პირთ არა ერთ-  
ხელ უნდოდათ თურმე შურადის მო-  
ტაცება და ამ-სათვის მის დედას მალი-  
დეს დახმარებას სთხოვდნენო, მაგ-  
რამ ეს უკანასკნელი არ დათანხმე-  
ბულია, ბოლოს მამებარი პოლიციის  
ერთი აგენტი მოუსყიდნათ, მაგრამ  
ამს გაუცია ისინი, ყველაფერი შე-  
უტყობინებია იმ ყარაულებისთე, რა  
რომელიც შურადის საცველათ ყო-  
ფილან ჩერაგ ნის სასახლეში დაყე-  
ნებულნი. დანიშნულს დღე, რომ  
დისაც უნდა მოეტაცნათ შურადი,  
იმის სასახლეში მოსულან ორი პირ-  
ბადე ახეული ქალი. მცველებს შე-  
უნიშნავსთ, რომ პარბადეს ქვეშეწე-  
რების ბოლო მოჩანდა და რადგან—  
გარდა ამისა, გაფრთხილებულიც იყე-  
ნენ, რომ ამა და ამ ღამეს ის ოთხი  
კაცი შურადის მოსატაცებლათ მოე-  
ლენო, დაუჭერით ეს ქალები. ცო-  
ტა ხნს შემდეგ სასახლის კარეტო  
ორი დანარჩენი—სტავრილესი და  
პოლმელიც მოსულან. ბარდომობტა-  
რან კარეტო დამ თუ არა, იმ წამსვე  
ესენაც დაუტყუალებიათ.—ამომძი-  
ებელთან რომ მიუყვანიათ, გამომ-  
ტყურან, რომ მათ მართლა შურა-  
დის მოტაცება მსურდათ და ერთი  
რუსული გემით წაყვანა.

ბერს სხვა და სხვა ხმებს იწერე-  
ბიან ამ შეთქმულობაზე. სხვათა შო-  
რის ამბობენ, რომ ი-გლისელი სტა-  
ვირილები, ერთი ამ შეთქმულობის  
მონაწილეთაგანი, ამ უკანასკნელს  
დროს რუსეთის მართველობის შპი-  
ონი იყო ძონსტანტინოპოლში.—  
შოთამც ი-გნატივეც კი ურევი ამ  
საქმეშიო, მაგრამ უფრო დასაჯერე-  
ბელიაო, ამბობს ერთი ნემეცური  
გაზეთი, რომ ეს შეთქმულობა თავ-  
ვით მსმალთს მართველობის თაო-  
სნობით არის შეთხზულიო იმ გან-  
ზრახვით, რომ შემდეგ რუსეთს გარ-  
დაბრალონ და ამ რიგათ, მის პო-  
ლიტიკას ანონ კონჭერენციის და-  
წყების წინეთაო.  
— ამ ზემო-მოყვანილს ამბავს  
ერთობ შეუწუხებია და შეუშინებია  
სულთან-ჰამიდი, მინისტრებში დიდი  
ხნის მოლაპარაკების შემდეგ ბრძა-

ნება გაუცია, რომ არცერთმა მონ-  
ატანტინოპოლის გაზეთთაგანმა ამ  
შეთქმულობაზე ხმა არ ამოიღოსო,  
რომ ამ რიგათ უფრო კარგა შეეტ-  
ყოთ ყველაფერი გარემოება, რო-  
მელიც ამ შეთქმულობას მიუძღვნენ.  
— შთავერეს ევზირზე, მქმედ-  
რულში-ფაშაზე, რომელიც, როგორც  
ჩვენმა მკითხველებმა იციან, დღეს  
სულთანისაგან გარდაყენებულია სამ-  
სახურიდაშ, ერთს ნემეცურს გაზეთ-  
ში („ქელნის გაზეთში“) შექმედეს  
ამბავს იწერებია: „შთავერესი ეე-  
ზირის ტან-მრთელობა იმნაირ მდგო-  
მარეობაშია დღეს, რომ იმის შემხე-  
დვარემ უნდა სთქვას—ამ კაცს დღეს  
არაფერს გაკეთება არ უნდა შეეძ-  
ლოს. უჯოხოთ სიარული იმას აღარ  
შეუქლიანო, ისე დასუსტებული და  
დაუძლეული არისო. ახალი კონ-  
სტიტუციის ძალით, იმას მინისტრე-  
ბის პრეზიდენ ზობა ეკუთვნოდა, რომ-  
ლის გარდა კიდევ შინაგანი საქმეე-  
ბის მინისტრობა უნდა ეკისრნა, მაგ-  
რამ რომ ავითყოფოდაც არა, მაინც  
არ დასცალდა: მა ადგილი დღეს მას  
უმთავერეს მოწინააღმდეგეს და ახალი  
კონსტიტუციის მომხრეს მიტმად-ფა-  
შას რჩება. შთელი მსმალთს უძ-  
თავერესი მართველობის მოსამართ-  
ლებების ძალა დღეს ორ ბანაკთ გა-  
ნიყოფებოა, ამბობს ზემო-მოყვანილი  
გაზეთი. შოთს ბანაკს შა-ფენენ  
იმისთანა პირები, რომელთაც მს-  
მალთს დიდს მომავალს უქადაიან,  
მეორეს-კი იმისთანები, რომელთაც  
ყოველგვარი იმედი დაუქარგავთ მ-  
სმალთს სახელმწიფოს როდისმე ფხ-  
ზე წამოყენებისა. ამ მეორე ბანაკის  
პირებს ეკუთვნის სხვათა შორის მე-  
ჭებედ-რულში-ფაშა. ამის პაზრით ახა-  
ლი კონსტიტუციით მინიჭებული რე-  
ფორმები უფრო აჩქარებს მსმალთს  
დამხობას.“

## საბაასო

**ათონის ივარიის მონასტერზე**  
(პასუხი „დროების“ № 112-ში  
დაბეჭდილს შენიშვნაზე)

უფ. რედაქტორო! „დროების“ მე-  
112 №-ში დაბეჭდილია მეტად უშვე-  
რი და უკუღმართი ტყუილები ივე-  
რიის ათონის მონასტერზე და უფრო  
პირად ჩემზე. მე მხოლოდ ამას ვწუ-  
ხვარ, რომ ჩემი მოვალეობისა გამო  
იმ გვარ ალაგებში დავრჩი აქამდის,  
რომ გაზეთი არ მინ.ხავს და ამისათ-  
ვის დროზე ვერ უპასუხე იმის დამ-  
წერს ფაქტებით. ახლა, უფ. რედაქ-  
ტორო, ნებას გთხოვთ, თქვენ საპა-  
ტოო გაზეთში ქვემარტება აღმად-  
გენინოთ.

ჩვენს ძველ ივერიის დიდებულს  
მონასტერში ათონის მთაზე დღეს  
მხოლოდ ბერძნები დგანან და ქარ-  
თეილებისათვის ამ ქართველების ნაღ-  
ვწ მონასტერში შესვლაც მძიმე გახ-  
ლავსთ. ამ დიდი ივერიის მონასტ-  
რის მახლობლად მწ. იოანე მახარო-  
ბლის უდაბნო თვითონ მე განვახ-  
ლვ და ავაშენე, მის გარემოში ად-  
გლები ზეთის-ხილის ბღები, ცოტა  
ტყეები და ვენახები ისევე იმათგანი  
მე ვიყიდე, გაფაშენე და თან სენაკები  
მუნ მცხოვრები მონაზონებისათვი-

## უხსო ქვეყნები

ომის აზბაში. შოთს წინანდელ  
„დროების“ ნომერთაგანში ჩვენ,  
სხვათა შორის, ვამბობდით, რომ მს-  
მალთს მართველობა, თუკა ომი აუტ-  
ყდა რუსეთთან, იცდებოდა მხოლოდ  
თავისი საზღვრები დაიკოს და არსად



საც, რომელიც იქ იქცა და ხუთამდე ერთ ქართულად — უმეტესი ჩემს შეგონებით და რჩევით წასულვით.

მე ერთს კაცობაში გახლდით ჯერ სამსახურში, სამეგრელოში რუსის მართველობის შესვლის დროს მთარგმნელად და შემდეგ გვიანში შემძობებელი ექვარი ქ. სოხუმში. როდესაც მონაზონობა აღვირჩიე, ყოველი ჩემი მონაგები ვაქციე ფულად და შემდეგ წმინდა ადგილების მოვლა, შევიწირე ზემოხსენებულს უდაბნოს, რომელიც ამ საშუალებით დაიწყო და შემდგომ სამეგრელო-მთავრობის კეთილ-შემწიფებლებისაგან ხელი შევიწყო და დღესაც ეს უდაბნო ამ წყაროებისაგან შენობს და იზრდება.

მე ნიადეგ წმიდა იოანე მხარობლის უდაბნოში ვარ, თუ რომ ისევ მონასტრის საქმებისა გამო მიმოვალ ამ ჩვენს ქვეყანაში, სადაც ვსაკეთებელი შრავალი საქმეები არის, როგორც მონასტრისათვის, ისე და უმეტესად მთელი ქართველის ერის ისტორიული და ლიტერატურული მნიშვნელობისათვის. ახლაც, ეს მეოთხე თვე არის, რაც იქიდან წამოვედი და როგორც რამდენსამე საქმეებს მოვათავსებ, წავალ, როგორც სხვისაც ბევრჯერ მიქნია.

ახლა უ. მოამბეს ვკითხავ, საიდან შეიტყო, რომ ამბობს, რომ „ქართველი აქ არავენ არისო“, „ბერები წაივინდნენ უკანვე საქართველოშიო?“ მაგრამ თვითონვე ეშლება ენა და თავის წინააღმდეგად განაგრძობს: მხლა ააშენეს ერთი მცირე ეკლესია და ორი-სამი ბერი მოვიდა ქართველები, თუმცა ორი სამი კარა ოცდახუთი კაცია და უკან თუ ვინმე თავდაპირველი უსასო და სულ მოკლე გაიქცა მონასტრის ცხოვრებისაგან, თუ არა არავენ არ წასულა, ამიტომ რომ ჯერ ბერობის სურვილით და მცნებთ მონასტრში, შესული და მერე თავის წინააღმდეგად სახსოვარს ადგილზე მიწვენილი ქართველი ისე არ დამცირდება და არ შერცხვება, რომ ან მონაზონების სახე და მოღვაწეების სიწმიდე შეადგინოს და ან ხსენება და სიყვარული თავისი სამშობლო ერის დადების ნატამალი შეურაცხყო. ამ გვარი ეკლესიის და მამულის მოლაპატესულის მქონე კაცი ღმერთამაც ნუ დააყენოს იქ წმიდა ადგილზე, სადაც ბრწყინებდნენ თავისი მამულის მოხარებით და სჯულის სიწმიდით ღირს მეთიმე, ზიორგი, იოანე და სხვა უკვდავი ისტორიაში ქართველები.

პასთანავე ჩემზე ამბობს:

„მთა... მეგრელი რომელიც ჩვენში მდებარეობს, როგორც ამასწინად მთა... წმინდა... ამ მთა ბუნებრივ ბარალაიმ მოახერხა, როგორც იმდენა მოწმობა იერარხის შეწყობით, დაბეჭდინა ტაქსა ივერის მონასტრის... მაგიერ მოხსენებისა... თვითონ დადიოდა და ვის ჭირისუფალს. არ შეცდნენ და ივერის მონასტრში ერთი გროშიც არ მოტანდა და თვით ამ ბუნებრივ სხენეზეც ვაქრა.“

აქაც შერევა და ზევით თვითონვე ამბობს: „ესკაცი დღესაც იოანე მხარობლის სენაკშიაო. აი ეს „გამქრალი“ კაცი მოგახსენებ უ. მოტანდა, რომ, არათუჩემი ხსენება, თვითონ მეც სულიან ხორციანად, როგორც თავთ მაგასაც უნებურათ წმოსცდენია; იმ იოანე მხარობლისა უდაბნოში გახლდათ და არ სად არა განემქრალვარ, კიდევაც ოცდაოთხი სხვა ქართველი არიან და იზრდებიან ჩემგან შეწირულთ და ჩემი მონაზონები შენაწირავი ფულით; ის უდაბნო შენობს, როგორც აქამდის, იმ საშუალობით, რომლისათვის ასე უკმეხად ამბობს, გროშიც არ მოტანიაო ჰგავს, რომ იმსიშორიდან ტყუილს ვერავენ გამოძიხრეკო — ამის იმედი ჰქონია და ესკი დავიწყებია, ტყუილს რომ მოკლე ფეხები აბია“ და თუ ტყუილისაგან მხედარი და „გამქრალი“ კაცი, როგორც მე, ახლა ასე ცოცხლად წარმოვდგობა და ლაღდება და იწყება ცილი წამების და სიცრუის „გასაქრობად“ და დასამზობად!

ბარდა ამისა რუსების წმ. პანტელიმონის მონასტრზედაც სულ თავიდან ბოლომდის მოყოლობული შეცდომილი ამბები სწერია: 400 ბერძენი იყო და რუსებმა და მათმა წინამძღვარმა პატრიარქთან და დიდ გეზირთან სავეს ქისების მიტანით და მერე მხრით დანების ჩხუბით გარეკეს, თანჯრებიდამ გადაჰყარეს; თვით თავი მოიცივეს და ახლა ბერძენს აღარ უშვებენო, — სრულებით ასე არ გახლავით. მონასტერი რუსების აშენებულია ძველთაგან და ახლაც, რუსებსა და სლავიანებს ვარდა, ბერძენიც არის და კიდევ იღებენ ახალ მოსულსაც; მხოლოდ რუსის და სლავიანების ხელში არის ყოველი მონასტერი სიღრმიდან საუკუნოებისა და თუ ოდესმე ბერძენები, როგორც აქ ხშირად იციან, ეცილებიან, რასაკვირვებია, სამართალს მიმართვენ, რომ მძლავრობა და უწყისება დასცხრეს, როგორც ყოველგან, სადაც სამართალი მთავრობს და არა ძალი უსახური და უნდლი.

მა მინდოდა მეთქვა მხოლოდ სა-

ზოგადობის წინ საქმის განთებსათვის და ბქვენს გაზეთში გამოაშკარებისათვის, უ. რედაქტორო, იმ ცრუ და შემცდარი ამბების თაობაზე.

თქვენი გაზეთის, საქართველოს ერის და ცხოვრების წარმატების ღვთისადმი მვედრებელი სქემ — მონაზონი ბუნებრივ 26-ს ნოემბერსა, ქუთაისი

## განცხადებანი

**თვილისის სახელოსნო კლუბის სტარშინების რჩევა** აცხადებს, რომ, საზოგადო კრების 12 დეკემბრის პროტოკოლის გადაწყვეტილებით, მომავალი საზოგადო კრება დანიშნულია ამავე დეკემბრის 18-ს, შაბათს, საღამოს 6 საათზედ.

## ხელის-მოწერა 1877 წელს გაზეთის „კავკაზზე“

მიიღება რედაქციაში, სოლოლაკზე, ხატისთვის სახლებში; გარეშე მცხოვრებთათვის შემდიგი ადრესია: *Въ Тифлисѣ, въ редакцiи газ. „Кавказъ“.*

ზაზეთის ფასი ძალაქის ხელის-მომწერლებისათვის 11 მან. და 50 კაპ., ნახევარ წლით — 6 მან., ძალაქის გარეშე მცხოვრებთათვის — 13 მან., 6 თვით 7 მან. (3-1)

## თვილისის სამაჟრნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

მევენის მადანზე, ჩიტახვის სახლებში ავთამოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდან დილისვე 10 საათამდე.

**მ. რ. შაბათს:** ექიმი მინკიევიჩი — ხირურგიულ ავთამოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავთამოფობისათვის.

**ს. შაბათს:** მერმევი და მარკაროვი — შინაგანი ავთამოფობისათვის, მამამევი — თვლის ექიმი.

**მ. შაბათს:** ლისიცივი — შინაგანი ავთამოფობისათვის, მიუჩარინცი — ვენერიული ავთამოფობისათვის.

**ხუთ შაბათს:** მერმევი შინაგანი ავთამოფობისათვის.

**პარასკევს:** ლისიცივი და ასატუროვი — შინაგანი ავთამოფობისათვის და მინკიევიჩი — ხირურგიულისათვის.

შაბათს: მერმევი — მამამევი — შინაგანი ავთამოფობისათვის, მიუჩარინცი — ყურისა და ხირურგიულ ავთამოფობისათვის და მამამევი — თვლის ავთამოფობისათვის.

## კავკასიის საავიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებენ ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავთამოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ძალის ავთამოფობისათვის: შოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდან 11 მან — დოქტორი ანანოვი.

მთხმანათობითა და შაბათობით 12 საათიდან 1-მან — დოქტორი რემერტი.

სამშობობით და შაბათობით 11-დან 12-მან — დოქტორი ალბანუხი.

საყმაწვილო ავთამოფობისათვის: ხუთშაბათობით 11 საათიდან 12-მან და კვირობით 10-დან 11-მან — დოქტორი შუაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუხის და ანანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქლებო ავთამოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავთამოფობა უნდა აღიონ დღეში — 50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში — 1 მან.

**LA VELOUTINE**  
(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარტიო), ბისმუტით გაკეთებული.

იეთი ზედმოქმედება აქვს აღამიანის ხორცის კანზე, რომ აღობობს და ახალგაზდა აღამიანის კანს დამსგავსებს.

ქანს ეკერება და არა სჩანს.

**შ. შაბათს — გამომგონი**

**pommade satin**  
(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესან-ხედავ; ზამთარში არ დაუკდება ხელის კანი, ეინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris  
156—89

რ.ა.	ზ.ა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გემები	ფოტობა	ბირჟა	გაზანდა
მთილისი	936	454				ა) შოთილამ მიდის:	ა) მთილისი დამ:	პეტრბურგი, 5 დეკემბ.	მთილისი, 16 დეკემბ.
მცხეთა			68	38		მდებისკენ — ხუთშაბათს დილით.	სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს	პროტი მანეთი ლირს:	
ბორი	1221	841	240	123		სტამბოლს — კვირობით, დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდი	ლონდონში 3 1/2 პენსი.	პური შორაგლის ფთ. 150
ხ. შუბრი	2	1110	392	218		ბ) მდებისადამ:	ოთხშ., მსურვეთს — პარასკე და	პარიში 30 3/4 სანტიმი.	მერი ფუთი. 95
ბეჭათუბანი			442	246		შოთისკენ — ხუთშაბ., ნასად. შაბათ.	ორშაბ. ბაქს — ორშ. სამშაგ. და	მსკონტი (სარგებლისუფასი)	ბაშა ქრევისა, ფუთი. 520
მეტილი			581	323		სტამბოლს — ოთხშ. შაბათს, შუადღეზე	შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	— ამერიკისა, ფუთი. 560
ქუთაისი	823		675	375		შოთიდან:	მთილისისა და შოთისკენ — ყო	მოგებიანი (პირველისესხი)	ბაქტილი ბაშა ფთ. 8
სამტრედი			773	429		I	ველ დღე, კვირას გარდა. მსურ	მოგებიანი (მეორე სესხი)	მატყელი თუშური ფთ. 6
ახ.-სენაკი			857	476		II	ვეთს — ორშ. და პარასკე. ზუგდილს	ბირაოს ფურცლები:	— მარაქამისა ფთ. 460
შოთი	1144		975	542		III	— ოთხშაბ.	მთლ. საზნ. ბანკისა.	აბრეშუმი ნუბური სტ 320
შოთი	840					საბჭუმადი . 4	ხუთ შაბათს: მერმევი შინაგანი ავთ	ბონი, ფუთი. 450	
ახ.-სენაკი			118	66		3	მყოფობისათვის.	ქონის ხანთელი ფუთი. 540	
სამტრედი			261	14		მერჩამდი . 20	პარასკევს: ლისიცივი და ასატუ	სტეარინის ხანთელი, ფ. 1250	
ქუთაისი	1151		341	69		50	როვი — შინაგანი ავთამოფობისათვის და მინ	ხორცი ძროხისა, ლიტ. 65	
შეირილა			398	21		მეგანდი . 38	კევიჩი — ხირურგიულისათვის.	— ცხვრისა, ლიტრა 63	
ბეჭათუბანი			533	296		მეგანდი . 30		სპირტი, ვედრო. 660	
ხ. შუბრი	541		165	84		მეგანდი . 27	ა) შოთი დამ:	შაქარი, ბროც. ფუთი. 780	
ბორი	723		367	34		მეგანდი . 27	ყოველგან ყოველ დღე, კვი	— ფხვნილი ფუთი. 640	
მცხეთა			985	542		მეგანდი . 30	რას გარდა.	შავა გრველი, ფუთი. 20	
მთილისი	1016		724	75		მეგანდი . 30	ფიგნის გაგზავნა რუსეთში	ხუთი ქრევისათვის ფთ. 520	
						მეგანდი . 30	და სამზღვარ გარეთ:	მქობა 1/2 იმპერიალი. 715	
						მეგანდი . 30	ლია წიგნის . . . . . 4		
						მეგანდი . 30	დემკლიდის (სამი მისხალი) . 8		